ს ა რ ჩ ე ვ ი:

1. ზუგდიდის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ეკონომიკის, ურბანული განვითარებისა და ქონების მართვის საკითხთა კომისიის 2023 წლის 31 იანვრის სხდომის დღის წესრიგი.

2. ზუგდიდის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ეკონომიკის, ურბანული განვითარებისა და ქონების მართვის საკითხთა კომისიის 2023 წლის 31 იანვრის სხდომის ოქმი N1.

3. ზუგდიდის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული მოძრავი ქონების პირდაპირი განკარგვის წესით, უსასყიდლო თხოვების ფორმით, უვადო სარგებლობის უფლებით ა(ა)იპ ზუგდიდის მუნიციპალიტეტის „ზუგდიდდასუფთავების ცენტრისთვის“ გადაცემის თაობაზე ზუგდიდის მუნიციპალიტეტის მერისთვის თანხმობის მიცემის შესახებ-ზუგდიდის მუნიციპალიტეტის მერის 2023 წლის 30 იანვრის N24-2423030164 წერილი.

4. საზოგადოებრივი გაერთიანება ,,ზუგდიდი-სოფელ დარჩელის უხუცესთა საბჭო-ს“ ინიციატივა ზუგდიდის მუნიციპალიტეტის დარჩელის ადმინისტრაციული ერთეულის ცენტრში მდებარე შინმოუსვლელთა სკვერისა და ობელისკის სახელდების თაობაზე-საზოგადოება „ზუგდიდელის“ 2023 წლის 27 იანვრის N19/25230276-25 განცხადება.

5. ზუგდიდის მუნიციპალიტეტის მერთან არსებული კოლეგიური ორგანოს პირის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე ცხოვრების (ყოფნის) ფაქტის დამდგენი კომისიის 2022 წლის საქმიანობის ანგარიში-ზუგდიდის მუნიციპალიტეტის მერის 2023 წლის 11 იანვრის N24-2423011111 წერილი.

6. **დასკვნა N1**-ზუგდიდის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული მოძრავი ქონების პირდაპირი განკარგვის წესით, უსასყიდლო თხოვების ფორმით, უვადო სარგებლობის უფლებით ა(ა)იპ ზუგდიდის მუნიციპალიტეტის „ზუგდიდდასუფთავების ცენტრისთვის“ გადაცემის თაობაზე ზუგდიდის მუნიციპალიტეტის მერისთვის თანხმობის მიცემის შესახებ.

7. **დასკვნა N2**-საზოგადოებრივი გაერთიანება ,,ზუგდიდი-სოფელ დარჩელის უხუცესთა საბჭო-ს“ ინიციატივა ზუგდიდის მუნიციპალიტეტის დარჩელის ადმინისტრაციული ერთეულის ცენტრში მდებარე შინმოუსვლელთა სკვერისა და ობელისკის სახელდების თაობაზე.

8. **დასკვნა N3**-ზუგდიდის მუნიციპალიტეტის მერთან არსებული კოლეგიური ორგანოს პირის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე ცხოვრების (ყოფნის) ფაქტის დამდგენი კომისიის 2022 წლის საქმიანობის ანგარიში.

ზუგდიდის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ეკონომიკის, ურბანული განვითარებისა და ქონების მართვის საკითხთა კომისიის სხდომის

ქ. ზუგდიდი **31 იანვარი 2023 წელი**
14:00 სთ

დ ღ ი ს წ ე ს რ ი გ ი

1. ზუგდიდის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული მოძრავი ქონების პირდაპირი განკარგვის წესით, უსასყიდლო თხოვების ფორმით, უვადო სარგებლობის უფლებით ა(ა)იპ ზუგდიდის მუნიციპალიტეტის „ზუგდიდდასუფთავების ცენტრისთვის“ გადაცემის თაობაზე ზუგდიდის მუნიციპალიტეტის მერისთვის თანხმობის მიცემის შესახებ.
   მომხსენებელი: გიორგი სორდია-ზუგდიდის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ეკონომიკის, ურბანული განვითარებისა და ქონების მართვის საკითხთა კომისიის თავმჯდომარე

2. საზოგადოებრივი გაერთიანება ,,ზუგდიდი-სოფელ დარჩელის უხუცესთა საბჭო-ს“ ინიციატივა ზუგდიდის მუნიციპალიტეტის დარჩელის ადმინისტრაციული ერთეულის ცენტრში მდებარე შინმოუსვლელთა სკვერისა და ობელისკის სახელდების თაობაზე.
   მომხსენებელი: გიორგი სორდია-ზუგდიდის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ეკონომიკის, ურბანული განვითარებისა და ქონების მართვის საკითხთა კომისიის თავმჯდომარე

3. ზუგდიდის მუნიციპალიტეტის მერთან არსებული კოლეგიური ორგანოს პირის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე ცხოვრების (ყოფნის) ფაქტის დამდგენი კომისიის 2022 წლის საქმიანობის ანგარიში.
   მომხსენებელი: გიორგი სორდია-ზუგდიდის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ეკონომიკის, ურბანული განვითარებისა და ქონების მართვის საკითხთა კომისიის თავმჯდომარე

4. სხვადასხვა საკითხები.

ზუგდიდის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ეკონომიკის, ურბანული განვითარებისა და ქონების მართვის საკითხთა კომისიის თავმჯდომარე

გიორგი სორდია

ზუგდიდის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ეკონომიკის, ურბანული განვითარებისა და ქონების მართვის საკითხთა კომისიის სხდომის
ოქმი N1

ქ.ზუგდიდი **31 იანვარი 2023 წელი**
14:00 სთ

2023 წლის 31 იანვარს გაიმართა ზუგდიდის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ეკონომიკის, ურბანული განვითარებისა და ქონების მართვის საკითხთა კომისიის სხდომა.

სხდომას ესწრებოდნენ: გიორგი სორდია, გიგა ფარულავა, ირაკლი გოგოხია, კახაბერ ჩანგელია, თამუნა ჯიქია, ოთარ ქადარია, ჯონი ჯიქია, დავით ფიფია, ბეჟან შანავა.

სხდომას არ ესწრებოდნენ: თაზო ფაცაცია, გიორგი კორტავა, სოსო გოგოხია, დავით ვეკუა, დარეჯან გაბედავა, ლაშა ბეჭვაია, მაია კალანდია.

სხდომას ასევე ესწრებოდა: ----------ზუგდიდის მუნიციპალიტეტის საკრებულოს აპარატის უფროსი.

სხდომის მდივანი: ზუგდიდის მუნიციპალიტეტის საკრებულოს აპარატის საქმისწარმოების განყოფილების მესამე რანგის მეორე კატეგორიის უფროსი სპეციალისტი ---------.

სხდომის დაწყებამდე კომისიის წევრებმა გაიარეს რეგისტრაცია, რეგისტრაციის გავლის შემდეგ სხდომას ესწრებოდა კომისიის 16 წევრიდან 9 წევრი. სხდომას თავმჯდომარეობდა კომისიის თავმჯდომარე გიორგი სორდია.
კომისიის თავმჯდომარემ კომისიის წევრებს გააცნო სხდომის

დ ღ ი ს წ ე ს რ ი გ ი

1. ზუგდიდის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული მოძრავი ქონების პირდაპირი განკარგვის წესით, უსასყიდლო თხოვების ფორმით, უვადო სარგებლობის უფლებით ა(ა)იპ ზუგდიდის მუნიციპალიტეტის „ზუგდიდდასუფთავების ცენტრისთვის“ გადაცემის თაობაზე ზუგდიდის მუნიციპალიტეტის მერისთვის თანხმობის მიცემის შესახებ.
   მომხსენებელი: გიორგი სორდია-ზუგდიდის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ეკონომიკის, ურბანული განვითარებისა და ქონების მართვის საკითხთა კომისიის თავმჯდომარე

2. საზოგადოებრივი გაერთიანება ,,ზუგდიდი-სოფელ დარჩელის უხუცესთა საბჭო-ს“ ინიციატივა ზუგდიდის მუნიციპალიტეტის დარჩელის ადმინისტრაციული ერთეულის ცენტრში მდებარე შინმოუსვლელთა სკვერისა და ობელისკის სახელდების თაობაზე.
   მომხსენებელი: გიორგი სორდია-ზუგდიდის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ეკონომიკის, ურბანული განვითარებისა და ქონების მართვის საკითხთა კომისიის თავმჯდომარე

3. ზუგდიდის მუნიციპალიტეტის მერთან არსებული კოლეგიური ორგანოს პირის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე ცხოვრების (ყოფნის) ფაქტის დამდგენი კომისიის 2022 წლის საქმიანობის ანგარიში.
   მომხსენებელი: გიორგი სორდია-ზუგდიდის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ეკონომიკის, ურბანული განვითარებისა და ქონების

4. სხვადასხვა საკითხები.

კომისიის თავმჯდომარემ მიმართა კომისიის წევრებს კენჭი ეყაროს სხდომის დღის წესრიგს წარმოდგენილი რედაქციით.

კენჭისყრის შედეგად კომისიის წევრებმა დღის წესრიგს მხარი დაუჭირეს ერთხმად.

მოისმინეს: დღის წესრიგით გათვალისწინებულ პირველ საკითხთან დაკავშირებით ზუგდიდის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ეკონომიკის, ურბანული განვითარებისა და ქონების მართვის საკითხთა კომისიის თავმჯდომარის გიორგი სორდიას ინფორმაცია.

მან აღნიშნა, რომ 2023 წლის 30 იანვარს ზუგდიდის მუნიციპალიტეტის საკრებულოში შემოსულია ზუგდიდის მუნიციპალიტეტის მერის N24-2423030164 მომართვა (რეგისტრაციის N12-252303010-25 30.01.2023წ), რომელიც შეეხება ზუგდიდის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული მოძრავი ქონების პირდაპირი განკარგვის წესით, უსასყიდლო თხოვების ფორმით, უვადო სარგებლობის უფლებით ა(ა)იპ ზუგდიდის მუნიციპალიტეტის „ზუგდიდდასუფთავების ცენტრისთვის“ გადაცემის თაობაზე ზუგდიდის მუნიციპალიტეტის მერისთვის თანხმობის მიცემას.

აზრი გამოთქვეს: გიორგი სორდიამ განმარტა, საქართველოს ორგანული კანონის “ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“ მე-16 მუხლის მე-2 პუნქტის “ბ“ ქვეპუნქტის, 54-ე მუხლის პირველი ნაწილის “დ„ პუნქტის “დ. გ„ ქვეპუნქტის, 122-ე მუხლის, საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 615-622 მუხლების, „მუნიციპალიტეტის ქონების პრივატიზების, სარგებლობისა და მართვის უფლებებით გადაცემის, საპრივატიზებო საფასურის, საწყისი საპრივატიზებო საფასურის, ქირის საფასურის, ქირის საწყისი საფასურის განსაზღვრის და ანგარიშსწორების წესების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2014 წლის 8 დეკემბრის N669 დადგენილების 22-ე მუხლის პირველი პუნქტის „ე“ ქვეპუნქტის, მე-2 და მე-5 პუნქტების შესაბამისად, მიეცეს თანხმობა ზუგდიდის მუნიციპალიტეტის მერს, ზუგდიდის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული მოძრავი ქონება (სატრანსპორტო საშუალება FORD TRUCKS 2533DC, ს/ნNM0LKXTP6LNM94176, სახ. ნომერი:TH317TH) საბალანსო ღირებულებით 231345,07 (ორას ოცდათერთმეტი ათას სამას ორმოცდახუთი ლარი და 7 თეთრი) ლარი პირდაპირი განკარგვის წესით, უსასყიდლო თხოვების ფორმით, უვადოდ სარგებლობის უფლებით გადაეცეს ა(ა)იპ ზუგდიდის მუნიციპალიტეტის „ზუგდიდდასუფთავების ცენტრს“.

კომისიის თავმჯდომარემ მიმართა კომისიის წევრებს ხომ არა აქვთ რაიმე სახის წინადადება ან შენიშვნა.

კომისიის წევრების მიერ განსხვავებული წინადადებები და შენიშვნები არ გამოთქმულა და საკითხი დაყენებულ იქნა კენჭისყრაზე.

კენჭისყრის შედეგად საკითხს კომისიის წევრებმა მხარი დაუჭირეს ერთხმად.

მომხრე: 9

წინააღმდეგი: 0

გადაწყვიტეს: განკარგულების პროექტი „ზუგდიდის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული მოძრავი ქონების პირდაპირი განკარგვის წესით, უსასყიდლო თხოვების ფორმით, უვადო სარგებლობის უფლებით ა(ა)იპ ზუგდიდის მუნიციპალიტეტის „ზუგდიდდასუფთავების ცენტრისთვის“ გადაცემის თაობაზე ზუგდიდის მუნიციპალიტეტის მერისთვის თანხმობის მიცემის შესახებ“ ჩაითვალოს მომზადებულად და საკრებულოს ბიუროს საკრებულოს სხდომის დღის წერიგში დაუყოვნებლივ შეტანის მიზნით.

მოისმინეს: დღის წესრიგით გათვალისწინებულ მეორე საკითხთან დაკავშირებით ზუგდიდის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ეკონომიკის, ურბანული განვითარებისა და ქონების მართვის საკითხთა კომისიის თავმჯდომარის გიორგი სორდიას ინფორმაცია.

მან აღნიშნა, რომ 2023 წლის 27 იანვარს ზუგდიდის მუნიციპალიტეტის საკრებულოში შემოსულია საზოგადოება „ზუგდიდელი"-ს განცხადება (რეგისტრაციის N19/25230276-25 27.01.2023წ), რომელიც შეეხება საზოგადოებრივი გაერთიანება ,,ზუგდიდი-სოფელ დარჩელის უხუცესთა საბჭო-ს" ინიციატივა ზუგდიდის მუნიციპალიტეტის დარჩელის ადმინისტრაციული ერთეულის ცენტრში მდებარე შინმოუსვლელთა სკვერისა და ობელისკის სახელდებას.

აზრი გამოთქვეს: გიორგი სორდიამ განმარტა, რომ დარჩელის უხუცესთა საბჭოს წევრის გრიგოლ ჭედიას განცხადებაში, საუბარია დარჩელის ცენტრში არსებულ სამამულო ომში დაღუპულ შინმოუსვლელთა სახელზე განთავსებულ სკვერს და ობელისკს ეწოდოს „დარჩელის პარკი და გმირთა მემორიალი". აღნიშნული საკითხი რამდენჯერმე იყო შემოსული და კომისიის მიერ უარყოფითად იქნა შეფასებული, თუმცა მიუხედავად ამისა განმცხადებელი ისევ შემოვიდა საკითხის ხელახალი განხილვის მოთხოვნით.

კომისიის თავმჯდომარემ მიმართა კომისიის წევრებს ხომ არა აქვთ რაიმე სახის წინადადება ან შენიშვნა.

აზრი გამოთქვეს: ირაკლი გოგოხიამ აღნიშნა: „არ მიმაჩნია მიზანშეწონილად ერთ ობიექტს ეწოდოს ორი სახელი, შესაბამისად განმცხადებელს მივცეთ რეკომენდაცია, წარმოგვიდგინოს დამატებითი დოკუმენტები, რომ ვიმსჯელოთ მის აუცილებლობაზე."

აზრი გამოთქვეს: თამუნა ჯიქიამ აღნიშნა: „ვთვლი, რომ აღნიშნულ ობელისკ მინიჭებული აქვს შესაბამისი სახელი და დამატებითი დოკუმენტების წარმოდგენა ვერაფერს შეცვლის."

აზრი გამოთქვეს: მაია კალანდიამ აღნიშნა: „მოგეხსენებათ, რომ საკითხი კომისიაში განვიხილეთ, რომელზეც მიღებულ იქნა შესაბამისი გადაწყვეტილება და ახლაც იგივე აზრზე ვარ."

კომისიის წევრებმა მსჯელობის შედეგად გადაწყვიტეს, რომ წარმოდგენილი საკითხი კვლავ შეფასდეს უარყოფითად.

კომისიის წევრების მხრიდან სხვა განსხვავებული წინადადებები და შენიშვნები არ გამოთქმულა და საკითხი დაყენებულ იქნა კენჭისყრაზე.

კენჭისყრის შედეგად საკითხს კომისიის წევრებმა მხარი დაუჭირეს ერთხმად.

მომხრე: 9

წინააღმდეგი: 0

გადაწყვიტეს: საკითხი „საზოგადოებრივი გაერთიანება ,,ზუგდიდი-სოფელ დარჩელის უხუცესთა საბჭო-ს" ინიციატივა ზუგდიდის მუნიციპალიტეტის დარჩელის ადმინისტრაციული ერთეულის ცენტრში მდებარე შინმოუსვლელთა სკვერისა და ობელისკის სახელდების თაობაზე" არ იქნას გატანილი საკრებულოს ბიუროზე.

მოისმინეს: დღის წესრიგით გათვალისწინებულ მესამე საკითხთან დაკავშირებით ზუგდიდის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ეკონომიკის, ურბანული განვითარებისა და ქონების მართვის საკითხთა კომისიის თავმჯდომარის გიორგი სორდიას ინფორმაცია.

მან აღნიშნა, რომ 2023 წლის 11 იანვარს ზუგდიდის მუნიციპალიტეტის საკრებულოში შემოსულია ზუგდიდის მუნიციპალიტეტის მერის N24-2423011111 მომართვა (რეგისტრაციის N12-252301118-25 11.01.2023წ), რომელიც შეეხება ზუგდიდის მუნიციპალიტეტის მერთან

არსებული კოლეგიური ორგანოს პირის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე ცხოვრების (ყოფნის) ფაქტის დამდგენი კომისიის 2022 წლის საქმიანობის ანგარიშს.

აზრი გამოთქვეს: გიორგი სორდიამ განმარტა, რომ ზუგდიდის მუნიციპალიტეტის მერთან არსებული კოლეგიური ორგანოს პირის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე ცხოვრების (ყოფნის) ფაქტის დამდგენი კომისიის 2022 წლის საქმიანობის ანგარიში ანგარიში კომისიამ უნდა მიიღოს ცნობის სახით.

გადაწყვიტეს: საკითხი „ზუგდიდის მუნიციპალიტეტის მერთან არსებული კოლეგიური ორგანოს პირის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე ცხოვრების (ყოფნის) ფაქტის დამდგენი კომისიის 2022 წლის საქმიანობის ანგარიში" ცნობად იქნას მიღებული.

სხვადასხვა საკითხებთან დაკავშირებით წინადადებები არ გამოთქმულა.

დღის წესრიგით გათვალისწინებული ყველა საკითხი ამოიწურა და სხდომა გამოცხადდა დახურულად.

ზუგდიდის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ეკონომიკის, ურბანული განვითარებისა
და ქონების მართვის საკითხთა კომისიის თავმჯდომარე

გიორგი სორდია

ხელმოწერილია